## ქალაქ თბილისის
## მუნიციპალიტეტის საკრებულო

### განკარგულება № 56

„2“ მარტი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის შესახვევის №17-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსისგანაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 62-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2015 წლის 8 იანვრის №1 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 16 თებერვლის №04/2903 წერილის (AR1276076) შესაბამისად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის შესახვევის №17-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1276076 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა)
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი